სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" 272 მეგავატი სიმძლავრის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: თბოელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი;

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:

- 2020 წლის 23 სექტემბერი, 16:00 საათი, ქ. გარდაბანი, ქვემო კაპანახჩის დასახლება, N5 საჯარო სკოლის ეზო.

საჯარო განხილვის ორგანიზატორი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

ქვეყანაში შექმნილი ეპიდსიტუაციიდან და სხვადასხვა შეზღუდვებიდან გამომდინარე სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართება ქ. გარდაბანში (ქვემო კაპანახჩის დასახლება), N5 საჯარო სკოლის ეზოში (ღია სივრცეში). საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **2020 წლის 24 სექტემბრამდე**, მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N 6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge